ტყის აღდგენის პოტენციალი ჯავახეთის ზეგანზე - ეკო-სოციალური მიდგომა მდგრადი განვითარებისათვის

ივერი ასანიძე

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა

ბუნებათსარგებლობა (MSc)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფ. დოქტ. ლევან მუმლაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2019

განაცხადი

,,როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

ივერი ასანიძე 25.10.2019

სარჩევი

აბსტრაქტი 1

1. შესავალი 2

2. ლიტერატურის მიმოხილვა 5

3. საკვლევი ტერიტორიის გეოგრაფიული დახასიათება 7

4. საკვლევი ტერიტორიის ბოტანიკური დახასიათება 17

5. თანამედროვე ეროვნული სატყეო პოლიტიკა და მისი კავშირი ჯავახეთის ტყეებთან 28

6. მასალა და მეთოდები 29

7. საველე კვლევის შედეგები 37

8. შედეგების განხილვა 47

8.1. სტატისტიკური ანალიზით მიღებული შედეგების განხილვა 47

8.2. ნინოწმინდის და ახალქალაქის ტყეების საველე შეფასებით და ლიტერატურული წყაროების ანალიზზე დაყრდნობით მიღებული შედეგები და მათი განხილვა 50

8.3. ამჟამინდელი ტყის რესურსების მოხმარება და მოხმარების სამომავლო პოტენციალი 54

9. დასკვნები: 59

9.1. განზოგადებული დასკვნა 61

10. სამადლობელი 61

11. ბიბლიოგრაფია 62

12. დანართი 74

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი შესრულდა იტალიის ბოცენ-ბოლცანოს თავისუფალი უნივერსიტეტის ინტერდისციპლინარული პროექტის, ბიომენეჯმენტის (BIOMAN) ფარგლებში. პროექტის კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს ტყის აღდგენის ეკოლოგიური პოტენციალის განსაზღვრა და პოტენციურად მასზე მოქმედი სოციო-ეკონომიკური ფაქტორების ანალიზი ჯავახეთის ტერიტორიაზე. სამაგისტრო ნაშრომი ორიენტირებულია ამ მიზნის მისაღწევად დასახული ერთ-ერთი ამოცანის შესრულებაზე, რომელსაც შეადგენს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გავლენის დადგენა მათ მიერ მოპოვებული ტყის რესურსების მრავალფეროვნებაზე.

სამაგისტრო კვლევის მიზნის შესრულებისათვის ჯავახეთის პლატოზე განლაგებულ მუნიციპალიტეტებში - ახალქალაქში და ნინოწმინდაში განხორციელდა 14 (ახალქალაქის 8 და ნინოწმინდის 6) სოფლის 58 მოსახლის გამოკითხვა. გამოკითხვის საფუძველზე შეგროვდა ინფორმაცია, რომელთა მთავარ კომპონენტებსაც წარმოადგენდა: გამოკითხული მოსახლეობის ასაკი, განათლების დონე, ოჯახის წევრების რაოდენობა, ოჯახის წევრების გენდერული თანაფარდობა, ოჯახის წევრთა მიგრაციის დონე, ოჯახის მიერ ტყის რესურსების მოხმარების სპეციფიკა, სოფლიდან ფიჭვნარი ტყის კორომის დაშორების მანძილი და ამ კორომის ან კორომების საერთო ფართობი.

აღმოჩნდა, რომ ჯავახეთის მოსახლეობის მიერ ტყის რესურსების მოხმარების მრავალფეროვნებაზე ყველაზე ძლიერი გავლენა აქვს მოსახლეობის მიგრაციის დონეს, სოფლიდან ტყის კორომის დაშორების მანძილს და ფართობს. გამოკითხული მოსახლეობის ასაკი, განათლების დონე, ოჯახის წევრების რაოდენობა და ოჯახის წევრების გენდერული თანაფარდობა სუსტ კავშირში აღმოჩნდა მოსახლეობის მიერ მოხმარებული ტყის რესურსის მრავალფეროვნებასთან.

კვლევის შედეგები აშკარად მიუთითებენ, რომ საკვლევი ტერიტორიის მოსახლეობა დაინტერესებულია ჯავახეთის და ნინოწმინდის ტყეებში არსებული რესურსების მოხმარებით, რაც ჯავახეთის ზეგანზე ტყეების აღდგენის ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს. კლევის შედეგეგად ასევე გამოვლინდა, რომ გამოკითხული მოსახლეობა გაცილებით მცირე რესურსს იყენებს, ვიდრე ეს ხელმისაწვდომია ჯავახეთის და ნინოწმინდის ტყეებში. კვლევამ ასევე უჩვენა, რომ ტყეების მართვაში მოსახლეობის ჩართულობის ხარისხი და მათი დაინტერესება ამ პროცესში ჩართვაში ძალზე დაბალია, რაც მიუთითებს ტყეების მართვასთან და კანონმდებლობასთან დაკავშირებული სპეციფიური ცოდნის სიმწირეზე მოსახლეობაში.

საკვანძო სიტყვები: ტყის რესურსები; ჯავახეთის ზეგანის ტყეები; ტყის მართვის პოლიტიკა; ტყის აღდგენა; ინტერვიუზე დამყარებული მონაცემები; ტყეთსარგებლობა.

1. შესავალი

სამაგისტრო ნაშრომი შესრულდა ბოცენ-ბოლცანოს თავისუფალი უნივერსიტეტის (Libera Università di Bozen-Bolzano) ინტერდისციპლინარული პროექტის, ბიომენეჯმენტის (BIOMAN) ფარგლებში. აღნიშნული პროექტში სამაგისტრო კვლევის ავტორის, ილიას სახელმწიდო უნივერსიტეტის და ბოცენ-ბოლცანოს თავისუფალი უნივერსიტეტის მკვლევარების ჩართულობით განხორციელდა კვლევა, რომელიც ეხება ტყეების აღდგენის და განახლების პოტენციალს ჯავახეთის ზეგანზე (ნახ. 1).